რესოციალიზაციისა და აქტიურ სპორტში ჩართვისათვის; სპორტული მოედნების მშენებლობა-რეკონსტრუქცია.

სპორტის, ახალგაზრდობისა და კულტურის მიმართულების მხარდაჭერა უზრუნველყოფს ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას, ერთმანეთთან აკავშირებს სხვადასხვა დარგს და მნიშვნელოვან როლს თამაშობს მათ განვითარებაში, ხელს უწყობს ტურიზმს, მეწარმეობას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, დანაშაულის პრევენციას, კულტურული დიპლომატიის განვითარებას, ქმედითი ნაბიჯები გადაიდგმება იმისათვის, რომ კულტურა და სპორტი უფრო მეტად ინტეგრირდეს მოსახლეობაში.

მუნიციპალიტეტის მიზანია გაიზარდოს ახალგაზრდების ჩართულობა საზოგადოებრივ, კულტურულ და სპორტულ ცხოვრებაში.

05 00	კულტურა, ახალგაზრდობა, სპორტი და რელიგია	7 487,0
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	3081,0
05 01 01	მასობრივი სპორტული სახეობების ხელშეწყობა (05 01 01)	200,0
05 01 02	სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარების ხელშეწყობა (05 01 02)	1 773,0
05 01 03	სპორტული კლუბების ხელშეწყობა (05 01 03)	1108,0
05 01 03 01	ა(ა)იპ რაგბის განვითარების კავშირი (05 01 03 01)	658,0
05 01 03 02	შ.პ.ს. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი მერცხალი	450,0
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	4188,5
05 02 01	კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ხელშეწყობა	636,0
05 02 02	კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	160,0
05 02 04	კულტურის ობიექტების დაფინანსება	3392,5
05 02 04 01	დაბა ურეკის კულტურის სახლი	238,0
05 02 04 02	ცენტრალური ბიბლიოთეკა	268,0
05 02 04 03	თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული თეატრი	199,0
05 02 04 04	სახვითი ხელოვნების ცენტრი	173,0
05 02 04 05	სახელმწიფო ანსამბლი გურია	361,5
05 02 04 06	სამხატვრო სკოლა	125,0
05 02 04 07	მუსიკალური სკოლა	222,0
05 02 04 08	სამუზეუმო გაერთიანება	316,0
05 02 04 09	მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრი	1 375,0

05 02 04 10	ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი	115,0
05 03	ახალგაზრდული პროგრამები	117,5
05 03 01	„შემოქმედებითი ოზურგეთი“	100,0
05 03 02	ახალგაზრდობის ინტელექტუალურ-კულტურული განვითარების მხარდაჭერა	17,5
05 04	რელიგიური ორგანიზაციების მხარდაჭერა	100,0
05 04 01	რელიგიური ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა	80,0
05 04 02	ეკლესია მონასტრების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები	20,0

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	0501
პროგრამის დასახელება:	სპორტის განვითარების ხელშეწყობა
პროგრამის განმახორციელებელი:	'განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური
პროგრამის განხორციელების პერიოდი:	2024-2027 წწ.
სულ პროგრამის ბიუჯეტი:	3 081 000 ლარი
პროგრამის მიზანი	
მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, სპორტზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და სპორტული მიღწევების გაუმჯობესების ხელშეწყობა	
პროგრამის აღწერა	
ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება ფასიანი საჩუქრებით; ოლიმპიადის, მსოფლიოს და ევროპის ოფიციალური ჩემპიონატების საპრიზო (I,II,III) ადგილებზე გასული, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე სპორტსმენებისა და მწრთვანების წახალისება ფულადი ჯილდოთი; ღვაწლმოსილი ვეტერანი სპორტსმენების (წარსულში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე წარმატებული ვეტერანი სპორტსმენი) დაჯილდოება ფულადი და ფასიანი საჩუქრებით; სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებზე სპორტსმენებისა და მწრთვანების ტრანსპორტირებაში დახმარება; სართველოს სასკოლო სპორტული ოლიმპიადისა და სპორტი ბარიერების გარეშე, ევროპის სპორტის კვირეული, რომლებშიც მონაწილეობას ღებულობენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საჯარო და საბაზო სკოლები. საერთაშორისო ტურნირი კაიაკინგში, რომელიც იმართება სოფ.შემოქმედში მდინარე ბჟუჟზე და მონაწილეობას იღებს ევროპის ქვეყნებიდან ჩამოსული კაიაკერები, რეგიონალური სპორტული შეჯიბრება შ.შ.მ. პირებს შორის, რომელშიც ჩართულია ოზურგეთის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის ადმინისტრაციულ ერთეულებში მცხოვრები შ.შ.მ. პირები. გურული ველოტურის ორგანიზება/ხელშეწყობა; სპორტის	

სახეობა "ოფროუდი" ავტომოყვარულთათვის; "დოლი" - ცხენების შეჯიბრება მოკლე და გრძელ მანძილზე რბოლაში ;
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი
ხელშეწყობილია ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, უზრუნველყოფილია სპორტის სხვადასხვა სახეობების თანაბარი ხელმისაწვდომობა და წახალისებულია სპორტული მიღწევები

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	050101
ქვეპროგრამის დასახელება:	მასობრივი სპორტული სახეობების ხელშეწყობა
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	'განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური
ქვეპროგრამის დაფინანსების წყარო	2024 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	200 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი	200 000
ქვეპროგრამის მიზანი	სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა და ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ სპორტულ სკოლებსა და სექციებში გაერთიანებული ახალგაზრდა სპორტსმენების ხელშეწყობა. მოყვარული და პროფესიონალი სპორტსმენების მონაწილეობას ხელშეწყობა სხვადასხვა რანგის გასვლით სპორტულ ტურნირებსა და შეჯიბრებებში
ქვეპროგრამის აღწერა	

„საქართველოს სასკოლო სპორტული ოლიმპიადა“, საქართველოს სასკოლო სპორტულ ოლიმპიადის ორგანიზებაში მონაწილეობს, როგორც საქართველოს სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ფედერაცია, ასევე სპორტული აიპები და სიპები, ღონისძიებაში ჩართულია მუნიციპალიტეტში შემავალი ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული 42 საჯარო და სამრევლო სკოლების 1500 მოსწავლეებისაგან (900 ვაჟი, 600 ქალი) შემდგარი სპორტული გუნდები, რომლებიც წარმატებით ასპარეზობენ მუნიციპალურ, ხოლო შემდეგ რეგიონალურ და ფინალურ შეხვედრებში სპორტის შემდეგ სახეობებში: კალათბურთი, ფეხბურთი, მაგიდის ტენისი, კროსი, ფრენბურთი. ფეხბურთის ფედერაციასთან ერთად იმართება პროექტი „მოყვარულთა თასი“ მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებულ მოყვარულ ფეხბურთელთა გუნდებს შორის (სხვადასხვა რაოდენობის გუნდები გამოთქვამენ მონაწილეობის სურვილს, დაახლოებით 8 -10 გუნდი, 200 მდე მოყვარული ფეხბურთელები, 15 -29 წლის მამაკაცები) ტურნირები, როგორც მუნიციპალურ, ასევე რეგიონალურ დონეზე. „საქართველოს კომპიუტერული სპორტის ფედერაცია“ „გურიის კიბერსპორტის ფედერაცია“სთან ერთად ყოველწლიურად ატრებს ტურნირებს, რომელშიც მონაწილეობას სავარაუდოდ იღებს 200- მდე ახალგაზრდა ვაჟი 16 წლიდან 30 წლამდე. ფესტივალი „საქართველოს კომპიუტერული სპორტი 2019“ არის ერთ-ერთი საინტერესო ღონისძიება, რომელიც ერთდროულად მოიცავს სხვადასხვა მიმართულებას: ინტელექტუალური შეჯიბრებები, განათლება, გართობა, სპორტული აქტივობები, გამოფენები, სანახაობრივი შოუები და ა.შ., გამარჯვებულებს ეძლევათ შანსი საქართველოს სახელით იასპარეზონ უცხოეთში გამართულ სხვადასხვა ფესტივალ- ჩემპიონატებზე. საერთაშორისო ტურნირი „კაიაკინგში“, რომელშიც მონაწილეობს ევროპის ქვეყებიდან ჩამოსული კაიაკერები (დაახლოებით 18 ქვეყანა 60 მდე მონაწილე, 40 მამაკაცი, 20 ქალი). ფინალური ტურნირების დასრულების შემდეგ , დასკვნით ღონისძიებაზე გამარჯვებული კაიაკერები ჯილდოვდებიან ფასიანი საჩუქრებით. წლის ბოლოს იმართება წარმატებული სპორტსმენებისა და მათი მწრთვნელების დაჯილდოება

ოლიმპიადა:

- I- ადგილი 5000 ლარი
- II- ადგილი 3000 ლარი
- III- ადგილი 2000 ლარი

მსოფლიო ჩემპიონატზე:

უმცროსი ასაკის ჯაბუკთა და გოგონათ შორის 16 წ.-მდე

პირველი ადგილის დაკავებისას -1000 ლარი.

მეორე ადგილი დაკავების შემთხვევაში -800 ლარი.

მესამე ადგილის დაკავების შემთხვევაში-600 ლარი.

ჯაბუკთა და გოგონათ შორის 18 წ.-მდე

პირველი ადგილის დაკავებისას -1500 ლარი.

მეორე ადგილი დაკავების შემთხვევაში -1200 ლარი.

მესამე ადგილის დაკავების შემთხვევაში-1000 ლარი.

ჯაბუკთა და გოგონათ შორის 18-21 წ.-მდე

პირველი ადგილის დაკავების შემთხვევაში- 2000 ლარი.

მეორე ადგილი დაკავების შემთხვევაში -1800 ლარი.

მესამე ადგილის დაკავების შემთხვევაში-1500 ლარი.

ახალგაზრდებს შორის 21-23 წ.-მდე

პირველი ადგილის დაკავებისას -2500 ლარი.

მეორე ადგილი დაკავების შემთხვევაში -2000 ლარი.

მესამე ადგილის დაკავების შემთხვევაში-1500 ლარი.

უფროსებს შორის 23 წ. -ზემოთ

პირველი ადგილის დაკავების შემთხვევაში 3000 ლარი.

მეორე ადგილი დაკავების შემთხვევაში -2500 ლარი.

მესამე ადგილის დაკავების შემთხვევაში-2000 ლარი.

ევროპის ჩემპიონატი:

უმცროსი ასაკის ჯაბუტა და გოგონათ შორის 16 წ.-მდე

პირველი ადგილის დაკავებისას -1000 ლარი.

მეორე ადგილი დაკავების შემთხვევაში -800 ლარი.

მესამე ადგილის დაკავების შემთხვევაში-600 ლარი.

ჯაბუტა და გოგონათა შორის 18-21წ.- მდე

პირველი ადგილის დაკავების შემთხვევაში- 1500 ლარი.

მეორე ადგილი დაკავების შემთხვევაში -1200 ლარი.

მესამე ადგილის დაკავების შემთხვევაში-1000 ლარი.

ახალგაზრდებს შორის 21-23წ.- მდე

პირველი ადგილის დაკავებისას -2000 ლარი.

მეორე ადგილი დაკავების შემთხვევაში -1500 ლარი.

მესამე ადგილის დაკავების შემთხვევაში-1200 ლარი.

უფროსებს შორის 23 წ.-ზემოთ

პირველი ადგილის დაკავების შემთხვევაში 2500 ლარი.

მეორე ადგილი დაკავების შემთხვევაში -2000 ლარი.

მესამე ადგილის დაკავების შემთხვევაში-1500 ლარი.

მწვრთნელი დაჯილდოვდება ერთჯერადად საუკეთესო ტიტულის მქონე ერთ სპორტსმენზე გადასაცემი ჯილდოს არაუმეტეს 50%-ისა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ რამდენიმე გამარჯვებული სპორტსმენის მწვრთნელი ერთი და იგივე

პიროვნება, ყოველი მომდევნო გამარჯვებული სპორტსმენის ჯილდოს არაუმეტეს 20%-ისა.			
საქართველოს სასკოლო სპორტული ოლიმპიადა	1	3000	3 000
ჭადრაკის განვითარების მიზნით, დაგეგმილ ღონისძიებების ორგანიზებაში დახმარება	1	10000	10 000
მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციულ ერთეულებში გამართული სპორტული ღონისძიების ხელშეწყობა	20	1000	20 000
შემაჯამებელი ღონისძიება, წარმატებული სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების დაჯილდოება	1	18000	18 000
საერთაშორისო ტურნირი კაიაკინგში; სპორტის სახეობა "ოფროუდი" ავტო მოყვარულთათვის; "დოლი" - ცხენების შეჯიბრება მოკლე და გრძელ მანძილზე რბოლაში; ჩემპიონატები ჩოგბურთში;	5	2000	10 000
სხვა სპორტული ღონისძიებები	4	2250	9 000
სპორტული ინვენტარის შეძენა (საჩოგბურთო ცენტრი)	1	130 000	130 000
ჯამი			200 000
მოსალოდნელი შუალედური შედეგი			
უზრუნველყოფილია სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების ჩატარება, შექმნილია თანაბარი პირობები მოსახლეობის სპორტულ ცხოვრებაში ჩართულობისთვის და წახალისებული არიან წარმატებული სპორტსმენები და მწვრთნელები			

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	სპორტის განვითარების ხელშეწყობა
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	050102
ქვეპროგრამის დასახელება:	სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარების ხელშეწყობა
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანება
ქვეპროგრამის დაფინანსების წყარო	2024 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	1 773 000

სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი	1 773 000		
ქვეპროგრამის მიზანი			
ქვეპროგრამის მიზანია სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარება და პოპულარიზაცია, ტრადიციული სპორტის მხარდაჭერა; ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური ჩართვა სისტემატურ ცხოვრებაში და პროფილის შესაბამისად მათი მეთოდური აღზრდა და დაოსტატება			
ქვეპროგრამის აღწერა			
ა(ა)იპ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანებაში“ ფუნქციონირებს 18 სპორტული სექცია: 1.ბერძნულ-რომაული ჭიდაობა , 2. თავისუფალი ჭიდაობა 3. ქართული ჭიდაობა 4. ძიუდო 5. კრივი 6. კარატე 7. კიკბოქსინგი 8. ტაეკვონდო 9. მკლავჭიდი 10. მძლეოსნობა 11. ძალოსნობა 12. ქალთა ფეხბურთი 13.ფრენბურთი 14. კალათბურთი 15. ჩოგბურთი 16. ჭადრაკი 17.ფარიკაობა 18. მაგიდის ჩოგბურთი 19. კლასიკური და ტრადიციული საცხენოსნო სახეობები. სპორტული ჯგუფების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება . ამჟამად ფუნქციონირებს 57 ჯგუფი, რომელშიც გაერთიანებულია 1000 სპორტსმენი. მათ შორის: 850 ბიჭი, 150 გოგო. მაღალია ოზურგეთელი სპორტსმენების შედეგები სპორტულ ღონისძიებებზე(ევროპის, საერთაშორისო, რესპუბლიკური ტურნირები) .აღნიშნულ შეჯიბრებებზე ოზურგეთელებმა მოიპოვეს 290 მედალი, მათ შორის: 72 ოქრო, 88 ვერცხლი, 130 ბრინჯაო. აქედან საერთაშორისო ტურნირზე მოპოვებულია 6 მედალი .მათ შორის: 2 ოქრო, 2 ვერცხლი, 2 ბრინჯაო. მათ შორის ევროპის ჩემპიონატზე 4 მედალი (ბ/რ ჭიდაობა- 1 ოქრო, 1 ბრინჯაო; მკლავჭიდი-1 ოქრო, 1 ვერცხლი) სულ სპორტულ წრეებს ემსახურება 50 მწვრთნელი ემსახურებათ და მათ შორის 3 ქალი . მუნიციპალიტეტში სპორტული წრეები ფუნქციონირებს ქალაქ ოზურგეთში და შემდეგ ადმინისტრაციულ ერთეულებში:1.სოფ.შრომა, სოფ.ქვემო ნატანები, სოფ.ბახვი, სოფ.დვაბზუ, სოფ. ბოხვაური, სოფ.მერია, სოფ.შემოქმედი, სოფ.ოზურგეთი, სოფ.ზემო ნატანები, დაბა ნასაკირალი, სოფ.ლიხაური, სოფ.შრომა, სოფ. კვირიკეთი; სპორტული ღონისძიებების ორგანიზებაში დახმარება, სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობებისათვის გუნდებისა მათი მწვრთნელების ტრანსპორტირება საჭიროების შემთხვევაში, სპორტული ინვენტარის გადაცემა წახალისების მიზნით. ადგილობრივ ტრადიციულ ღონისძიებებში მათი ჩართულობა და ღონისძიებებზე გამართულ სპორტულ შეჯიბრებებში გამოვლენილი გამარჯვებული სპორტსმენებისათვის ჯილდოებისა და სამახსოვრო საჩუქრების გადაცემა. დაგეგმილია სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობისა და სპორტსმენთა მომზადების ორგანიზაციული და მეთოდური ხელშეწყობა.			
დასახელება	პროდუქტი		
	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი (ლარი)	სულ (ლარი)
ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანება	1	1 773 000	1 773 000
ჯამი			1 773 000
მოსალოდნელი შუალედური შედეგი			
უზრუნველყოფილია სპორტული წრეების თანაბარი ხელმისაწვდომობა და შექმნილია პირობები გოგონებისა და ბიჭებისთვის სპორტული წრეებით სარგებლობისთვის			

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	სპორტის განვითარების ხელშეწყობა
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	050103

ქვეპროგრამის დასახელება:	სპორტული კლუბების ხელშეწყობა		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ა(ა)იპ რაგბის განვითარების კავშირი, შ.პ.ს. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი მერცხალი		
ქვეპროგრამის დაფინანსების წყარო	2024 წელი		
მუნიციპალური ბიუჯეტი	1 108 000		
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი	1 108 000		
ქვეპროგრამის მიზანი			
ფეხბურთისა და რაგბის პოპულარიზაცია და ხელშეწყობა, კლუბებში ბავშვთა და მოზარდთა ჩართულობის უზრუნველყოფა			
ქვეპროგრამის აღწერა			
მოხდება ნიჭიერი და პერსპექტიული ბავშვების გამოვლენა და განვითარება მზადების ყველა ეტაპზე, რათა შემდეგ მოხდეს ძირითადი გუნდისათვის კვალიფიციური ფეხბურთელების და რაგბისტების ჩამოყალიბება. სელექციის პროცესი ხელს შეუწყობს საფეხბურთო ჯგუფებისა და გუნდების სასწავლო საწვრთნელი პროცესის ამაღლებას. მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლება ერთერთი მთავარი პირობაა შედეგის მისაღწევად. ამჟამად შპს საფეხბურთო კლუბ მერცხალში ფუნქციონირებს ბავშვთა 7 ასაკობრივი ჯგუფი (U-7-8; U-9-10; U-11-12; U-13-14; U-15-16;) რომლებიც მონაწილეობენ გურია აჭარის და იმერეთის ღია ჩემპიონატებში; ბავშვებს ყველანაირი პირობა აქვთ შექმნილი სპორტული განვითარებისათვის; 2023 წლისათვის ბავშვთა რაოდენობა 350-ია (მათ შორის 14 გოგო), 2024 წელს იგეგმება ბავშვთა რაოდენობის გაზრდა 400-მდე. რაგბისტთა სპორტული კლუბი „არწივები“ მონაწილეობს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში, გუნდში ვარჯიშობს 40-ი 18 დან 30 წლამდე სპორტსმენი. ასევე ვარჯიშობს 7 დან 18 წლამდე ასაკის 150 ბავშვი, მათ შორის ყველა ბიჭია.			
დასახელება	პროდუქტი		
	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი (ლარი)	სულ (ლარი)
ა(ა)იპ რაგბის განვითარების კავშირი	1	658000	658 000
შ.პ.ს. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი მერცხალი	1	450000	450 000
ჯამი			1 108 000
მოსალოდნელი შუალედური შედეგი			
უზრუნველყოფილია ფეხბურთისა და რაგბის კლუბების გამართული ფუნქციონირება და ბავშვთა და მოზარდთა ჩართულობა			

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:		0502
პროგრამის დასახელება:	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	
პროგრამის განმახორციელებელი:	'განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	
პროგრამის განხორციელების პერიოდი:	2024-2027 წწ.	
სულ პროგრამის ბიუჯეტი:	4 188 500 ლარი	
პროგრამის მიზანი		
ოზურგეთის მუნიციპალიტეტში კულტურის პროექტების განხორციელების, კულტურისა და ხელოვნების სფეროს ხელმისაწვდომობის, შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების ხელშეწყობა და კულტურის პოპულარიზაცია		
პროგრამის აღწერა		
ტრადიციული და სახალხო დღესასწაულების ჩატარება, მთავრობის მიერ ოფიციალურად დადგენილი დღეების აღნიშვნა.კონცერტების გამოფენების, გასტროლების, სახელოვნებო პროექტების, თეატრალური წარმოდგენების, საერთაშორისო, რეგიონალური და ადგილობრივი ფესტივალების მოწყობა; მუნიციპალიტეტში არსებული საჯარო და სამრევლო სკოლის მოსწავლეებისთვის სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით, ასევე სკოლის კურსდამთავრებულებისთვის საზეიმო ღონისძიებების მოწყობა. იუბილარ, დეაწლმოსილ კულტურის მუშაკებთან შეხვედრა/წახალისება, - (მადლობის სიგელების, საპატიო ტიტულების, თაიგულების ,ერთჯერადი ფულადი ჯილდოების გაცემა არაუმეტეს 500 ლარისა); საიუბილეო სადამოების ჩატარების ხელშეწყობა. შ.შ.მ. პირების სოცილიზაცია, მათი კულტურულ ღონისძიებებში აქტიურად ჩართვა, როგორც ადგილობრივი, ასევე რეგიონალური მასშტაბით; (არაუმეტეს 500 ლარისა) გამოჩენილი და ცნობადი ადამიანების შემოქმედებითი რეგიონალური ტურნეების ხელშეწყობა (კონცერტები, პოეზიის სადამოები, პერსონალური გამოფენები და ა.შ.); კულტურისა და ხელოვნების სფეროში საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა; ქართული კულტურის საერთაშორისო პოპულარიზაციის მიზნით, საჯარო-კერძო პარტნიორობის და ერთობლივი პროექტების განხორციელების (მაგ. გამოფენების ჩატარება, საერთაშორისო ბაზრობებზე, ფესტივალებზე და სხვა ღონისძიებებზე საქართველოს წარდგენა, ბიზნესის, ტურიზმის, სოფლის მეურნეობისა და კულტურული რესურსის ერთობლივი წარმოჩენა და სხვა.) ხელშეწყობა; კულტურის სფეროში დასაქმებული ადამიანების პროფესიული განვითარება/გადამზადება/გაცვლითი პროგრამები ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ(ტრენინგები,ვორქშოფები, სემინარები,მასტერკლასები) კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა (გურული ტრადიციებისა და ფოლკლორის პრომოუშენი). მუნიციპალიტეტის ცნობადობის ამაღლება და პოპულარიზაცია როგორც ქვეყნის შიგნით ასევე საზღვარგარეთაც (საიმიჯო რგოლების დამზადება, ფოტო-ვიდეო მასალების შეგროვება, დოკუმენტური ფილმების გადაღება, გურული ტრადიციული სამზარეულოს გამოფენა-დეგუსტაცია, საკურორტო სეზონზე (ზღვა, მთა და სხვადასხვა ტურისტული ლოკაციები) ფესტივალების, კულტურული ღონისძიებების მოწყობა-ჩატარება. საერთაშორისო კულტურულ-ურთიერთობათა გაღრმავება ,დამეგობრებულ ქვეყნებთან და მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობა და ერთობლივი პროექტების განხორციელება, ჩვენი კულტურის წარმოჩენა და გამოცდილების გაზიარება. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში კულტურული მდგრადობის შენარჩუნება, კულტურისა და ხელოვნების სფეროს ხელმისაწვდომობის, შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების		

ხელშეწყობის მიზნით ფოლკლორული კოლექტივებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების მხარდაჭერა და შემოქმედებითი კოლექტივების ხელშეწყობა, თეატრალური, მუსიკალური სახვითი, ქორეოგრაფიული, წიგნის ფესტივალების, კონცერტების, მუზეუმებში ახალ ექსპოზიციასა და მოძრავი გამოფენის მოწყობა, გაგრძელდება სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი

შექმილია პირობები კულტურისა და ხელოვნების პოპულარიზაციისთვის, ხელშეწყობილია კულტურისა და ხელოვნების სხვადასხვა კოლექტივები და სტუდიები და უზრუნველყოფილია კულტურულ-შემოქმედებით ცხოვრებაში მოსახლეობის ჩართულობა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	კულტურის განვითარების ხელშეწყობა		
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:		050201	
ქვეპროგრამის დასახელება:	კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ხელშეწყობა		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური		
ქვეპროგრამის დაფინანსების წყარო		2024 წელი	
მუნიციპალური ბიუჯეტი		636 000	
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი		636 000	
ქვეპროგრამის მიზანი			
კულტურის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია; მრავალფეროვანი შემოქმედებითი პოტენციალის განვითარება და ხელშეწყობა;			
ქვეპროგრამის აღწერა			

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის და ქვეყნის ღირშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა;

კონცერტების, გამოფენების, გასტროლების, სახელოვნებო პროექტების, თეატრალური წარმოდგენების, საერთაშორისო, რეგიონალური და ადგილობრივი ფესტივალების მოწყობა; მუნიციპალიტეტში არსებული საჯარო და სამრევლო სკოლის მოსწავლეებისთვის სასწავლო წლის დაწყებასთან და დამთავრებასთან დაკავშირებით, ასევე სკოლის კურსდამთავრებულებისთვის საზეიმო ღონისძიებების მოწყობა;

ღვაწლმოსილ კულტურის მუშაკებთან შეხვედრა/წახალისება, - (მადლობის სიგელების, საპატიო ტიტულების, თაიგულების, ერთჯერადი ფულადი ჯილდოების გაცემა არაუმეტეს 500 ლარისა); საიუბილეო სადამოების ჩატარების ხელშეწყობა; ზაფხულის სარამოების ორგანიზება; ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის მხარდაჭერა (თეატრალური წარმოდგენები, საერთაშორისო თეატრალური ფესტივალისა და საგასტროლო ტურნეების მონაწილეობისთვის (გასტროლებისთვის) შ.შ.მ. პირების სოციალიზაცია, მათი კულტურულ ღონისძიებებში აქტიურად ჩართვა, როგორც ადგილობრივი, ასევე რეგიონალური მასშტაბით (არაუმეტეს 500 ლარისა); შ.შ.მ. პირებისადმი მიძღვნილი ღირშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა და მხარდაჭერა; გამოჩენილი და ცნობადი ადამიანების შემოქმედებითი რეგიონალური ტურნეების ხელშეწყობა (კონცერტები, პოეზიის სადამოები, პერსონალური გამოფენები და ა.შ.); კულტურისა და ხელოვნების სფეროში საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა; ქართული კულტურის საერთაშორისო პოპულარიზაციის მიზნით, საჯარო-კერძო პარტნიორობის და ერთობლივი პროექტების განხორციელების ხელშეწყობა (მაგ. გამოფენების ჩატარება, საერთაშორისო ბაზრობებზე, ფესტივალებზე და სხვა ღონისძიებებზე საქართველოს წარდგენა, ბიზნესის, ტურიზმის, სოფლის მეურნეობისა და კულტურული რესურსის ერთობლივი წარმოჩენა და სხვა.) ფესტივალების, კულტურული ღონისძიებების მოწყობა-ჩატარება. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების(მატერიალური და არამატერიალური) მოვლა-პატრონობა;

დასახელება	პროდუქტი		
	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი (ლარი)	სულ (ლარი)
კალანდა გურიაში	1	80000	80000
ექვთიმეობა	1	5000	5000
ალეგრობა	1	80000	80000
1.ოფიციალურად დადგენილი დღეებისა (მაგ:საშობაო მსვლელობა ალილო 7 იანვარი, 25 თებერვალი, 3 მარტი, 8 მარტი, 9 აპრილი, 9 მაისი, 12 მაისი, 26 მაისი, 8 აგვისტო, 27 სექტემბერი და სხვა) 2. საერთაშორისო მნიშვნელოვანი დადგენილი თარიღების აღნიშვნა (21 მარტი დაუნის სინდრომის მსოფლიო დღე, 7 აპრილი ჯანმრთელობის მსოფლიო დღე, 22 აპრილი- დედამიწის დღე, მაისი- ევროპის დღეები, 14 ივნისი - შ.შ.მ. პირთა უფლებების დაცვის დღე; 3 დეკემბერი შშმ პირთა საერთაშორისო დღე, 02.10-07.11 ევროპის მემკვიდრეობის დღეები და ა.შ)	20	2500	50000

პროგრამულად გათვალისწინებული კულტურული ღონისძიებები: მუნიციპალიტეტში არსებული საჯარო და სამრევლო სკოლის მოსწავლეებისთვის სასწავლო წლის დაწყებასთან და დამთავრებასთან დაკავშირებით, ასევე სკოლის კურსდამთავრებულებისთვის საზეიმო ღონისძიებების მოწყობა. დეაწლმოსილ კულტურის მუშაკებთან შეხვედრა/წახალისება, საახალწლო ღონისძიებების ორგანიზება, საიუბილეო საღამოების, კონცერტების, ზაფხულის საღამოების, გამოფენების, საერთაშორისო, ადგილობრივი და რეგიონალური ფესტივალების მოწყობა. გამოჩენილი და ცნობადი ადამიანების შემოქმედებითი რეგიონალური ტურნეების ხელშეწყობა (კონცერტები, პოეზიის საღამოები, პერსონალური გამოფენები და სხვა) შ.შ.მ. პირების სოციალიზაცია, მათი კულტურულ ღონისძიებებში აქტიურად ჩართვა. კულტურისა და ხელოვნების სფეროში საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა; ქართული კულტურის საერთაშორისო პოპულარიზაციის მიზნით, საჯარო-კერძო პარტნიორობის და ერთობლივი პროექტების განხორციელების ხელშეწყობა	15	10000	150 000
კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების(მატერიალური და არამატერიალური) მოვლა-პატრონობა	4	500	2000
სხვა შემხვედრის ღონისძიებები	1	254000	254000
სხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის, რომელიც პროგრამულად არ არის გათვალისწინებული	5	3000	15000
ჯამი			636 000

მოსალოდნელი შუალედური შედეგი
ჩატარებულია კულტურული ღონისძიებები და ხელშეწყობილია მოსახლეობის ჩართულობა კულტურულ ცხოვრებაში

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	კულტურის განვითარების ხელშეწყობა
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	050202
ქვეპროგრამის დასახელება:	კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური
ქვეპროგრამის დაფინანსების წყარო	2024 წელი

მუნიციპალური ბიუჯეტი	160 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი	160 000

ქვეპროგრამის მიზანი

კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, გურული ტრადიციებისა და ფოლკლორის პოპულარიზაცია, მუნიციპალიტეტის ცნობადობის ამაღლება, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთ; საერთაშორისო, რეგიონალური და ადგილობრივი ტურისტული ფესტივალების მოწყობა/ორგანიზება და სხვადასხვა ფესტივალებში მონაწილეობა; ტურიზმის სექტორში დასაქმებული ადამიანების ხელშეწყობა;

ქვეპროგრამის აღწერა

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საიმიჯო რგოლების დამზადება, ფოტო-ვიდეო მასალების შეგროვება, დოკუმენტური ფილმების გადაღება, გურული ტრადიციული სამზარეულოს გამოფენა-დეგუსტაცია, საკურორტო სეზონზე (ზღვა, მთა და სხვადასხვა ტურისტული ლოკაციები, კულტურული ღონისძიებების მოწყობა-ჩატარება.) კულტურული/ინფო-ტურების მოწყობა; პრეს-ტურის განსახორციელებლად ტურიზმის სექტორში დასაქმებული ადამიანების დაინტერესება და მათი ხელშეწყობა, ფესტივალების, კულტურული ღონისძიებების მოწყობა-ჩატარება. კულტურული მარშუტების განვითარების ხელშეწყობა; ტურიზმის ადგილობრივ და საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობის მიღება;

დასახელება	პროდუქტი		
	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი (ლარი)	სულ (ლარი)
მთის დღესასწაული „გომისმთობა“	1	20000	20 000
ზღვის სეზონის გახსნა - კონცერტი	1	50000	50 000
ფესტივალების, კულტურული ღონისძიებების მოწყობა-ჩატარება (ჩაის ფესტივალი)	1	60 000	60 000
საიმიჯო ვიდეორგოლებისა და სატელევიზიო სიუჟეტების მომზადება	2	5000	10 000
ინფოტურის მოწყობა, პრესტური	10	1000	10 000
ტურიზმის ადგილობრივ და საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობის მიღება	2	5000	10 000
ჯამი			160 000

მოსალოდნელი შუალედური შედეგი

შექმნილია პირობები მუნიციპალიტეტის ცნობადობის გაზრდისა და პოპულარიზაციისთვის, ხელშემწყობილია კულტურული ტურიზმი და უზრუნველყოფილია ადგილობრივი და საერთაშორისო ფესტივალების ჩატარება

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	კულტურის განვითარების ხელშეწყობა		
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	050204		
ქვეპროგრამის დასახელება:	კულტურის ობიექტების დაფინანსება		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური		
ქვეპროგრამის დაფინანსების წყარო	2024 წელი		
მუნიციპალური ბიუჯეტი	3 392 500		
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი	3 392 500		
ქვეპროგრამის მიზანი			
ოზურგეთის მუნიციპალიტეტში კულტურული მდგრადობის შენარჩუნება, კულტურისა და ხელოვნების სფეროს ხელმისაწვდომობის, შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების ხელშეწყობა			
ქვეპროგრამის აღწერა			
ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის ფოლკლორული კოლექტივებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების მხარდაჭერა და შემოქმედებითი კოლექტივების ხელშეწყობა, თეატრალური, მუსიკალური სახვითი, ქორეოგრაფიული, წიგნის ფესტივალების, კონცერტების, მუზეუმებში ახალ ექსპოზიციასა და მოძრავი გამოფენის მოწყობა, გაგრძელდება სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.			
დასახელება	პროდუქტი		
	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი (ლარი)	სულ (ლარი)
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ დაბა ურეკის კულტურის სახლი	1	234000	238 000
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ცენტრალური ბიბლიოთეკა	1	268000	268 000
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ თოჯინების და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული თეატრი	1	195000	199 000
ა(ა)იპ მერაბ ბერძენიშვილის სახ. თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრი	1	173000	173 000
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ჯუმბერ დუნდუას სახ. ქართული-ხალხური ცეკვების სახელმწიფო ანსამბლი „გურია“	1	350000	369 500

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ სამხატვრო სკოლა	1	120000	125 000
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ გრიგოლ კილაძის სახ. მუსიკალური სკოლა	1	222000	222 000
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ სამუზეუმო გაერთიანება	1	316000	316 000
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ კულტურის და მოსწავლე -ახალგაზრდობის ცენტრი	1	1375000	1 375 000
საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ოზურგეთის რეგიონული წარმომადგენლობა	1	115000	115 000
ჯამი			3 392 500
მოსალოდნელი შუალედური შედეგი			
კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებები ფუნქციონირებს გამართულად, უზრუნველყოფილია კულტურულ-შემოქმედებითი წრეების თანაბარი ხელმისაწვდომობა			

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	0503
პროგრამის დასახელება:	ახალგაზრდული პროგრამები
პროგრამის განმახორციელებელი:	'განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური
პროგრამის განხორციელების პერიოდი:	2024-2027 წწ.
სულ პროგრამის ბიუჯეტი:	117 500 ლარი
პროგრამის მიზანი	
ახალგაზრდული ინიციატივების, პროექტებისა და წინადადებების განხორციელების ხელშეწყობა და დაფინანსება და ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობის გაზრდა	
პროგრამის აღწერა	

ახალგაზრდული ღონისძიებების ორგანიზების მუნიციპალური პროგრამების შემუშავება, მათი განხორციელების კოორდინაცია, ახალგაზრდული ინიციატივებისა და პროექტების მხარდაჭერა და დაფინანსება, სხვადასხვა სახის ინტელექტუალური კონკურსების ჩატარება, განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდების გამოვლენა და წახალისება. ადგილობრივი თვითმმართველობის მუშაობის პროცესში ახალგაზრდების ჩართულობის უზრუნველყოფა და მათი წინადადებების გათვალისწინება. სამთავრობო და არასამთავრობო ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან ურთიერთთანამშრომლობა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი

მხარდაჭერილია ახალგაზრდული ინიციატივები და უზრუნველყოფილია ახალგაზრდების ჩართულობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	ახალგაზრდული პროგრამები		
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:		050301	
ქვეპროგრამის დასახელება:	„შემოქმედებითი ოზურგეთი“		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური		
ქვეპროგრამის დაფინანსების წყარო		2024 წელი	
მუნიციპალური ბიუჯეტი		100 000	
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი		100 000	
ქვეპროგრამის მიზანი			
ქვეპროგრამის მიზანია შემოქმედებითი ინდუსტრიის სხვადასხვა დარგის განვითარების ხელშეწყობა; შემოქმედებით ინდუსტრიაში მომუშავე სუბიექტების პროფესიული ზრდის ხელშეწყობა, მათი სხვადასხვა პროგრამებში ჩართვა, შემოქმედებითი ინდუსტრიის განვითარებაში კულტურული მრავალფეროვნების გამოკვეთა, ოზურგეთში მცხოვრები სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენელთა კულტურული თვითგამოხატვის, კულტურის სფეროზე ხელმისაწვდომობისა და ჩართულობის გაძლიერების გზით; შემოქმედებითი ინდუსტრიის დარგების ხელშეწყობის გზით კულტურული ტურიზმის განვითარება, ტურისტული პოტენციალის ზრდა; მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული პროექტების ხელშეწყობა			
ქვეპროგრამის აღწერა			

ახალგაზრდული იდეების მხარდაჭერის მიზნით, თანამედროვე ვიზუალური ხელოვნების ხელშეწყობა – ქუჩის მხატვრობის, ფოტოგრაფიის, შემოქმედებითი ინსტალაციის, ურბანული და კონცეპტუალური ხელოვნების, ინოვაციურ-შემოქმედებითი ღონისძიებების ხელშეწყობა; პროგრამა უნდა განხორციელდეს კონკურსის წესით; პროექტის დაფინანსების მიზნით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი ქმნის საპროექტო განაცხადის/საკონკურსო განაცხადის (პროექტების) განმხილველ კომისიას (შემდგომში – კომისია). კომისიების საქმიანობის წესი განისაზღვრება კომისიის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი. ა) საკონკურსო განაცხადის წარდგენა ხდება, ოზურგეთის მერიის მიერ გამოცხადებულ კონკურსში, რომლის მიზანია შემოქმედებითი ინდუსტრიის სხვადასხვა დარგის განვითარების ხელშეწყობა; შემოქმედებითი ინდუსტრიაში მომუშავე სუბიექტების პროფესიული ზრდის ხელშეწყობა, მათი სხვადასხვა პროგრამებში ჩართვა, შემოქმედებითი ინდუსტრიის განვითარებაში კულტურული მრავალფეროვნების გამოკვეთა, მუნიციპალიტეტში მცხოვრები სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენელთა კულტურული თვითგამოხატვის, კულტურის სფეროზე ხელმისაწვდომობისა და ჩართულობის გაძლიერების გზით; შემოქმედებითი ინდუსტრიის დარგების ხელშეწყობის გზით კულტურული ტურიზმის განვითარება, ტურისტული პოტენციალის ზრდა; მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული პროექტების ხელშეწყობა;

ბ) საკონკურსო განაცხადის წარდგენა შეუძლია შესაბამის სფეროში მოღვაწე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებულ იურიდიულ პირს ან საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მეწარმე ფიზიკურ პირს, რომლის პროექტი ორიენტირებული იქნება დარგის მდგრად ან/და გრძელვადიან განვითარებაზე;

გ) საკონკურსო განაცხადი წარდგენილი უნდა იყოს მერიის მიერ განსაზღვრული განაცხადის ფორმის შესაბამისად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოცხადებულ კონკურსში;

დ) კონკურსი ცხადდება არანაკლებ წელიწადში ორჯერ;

ე) საკონკურსო განაცხადების მიღების ვადაა კონკურსის გამოცხადებიდან არაუმეტეს 10 (ათი) კალენდარული დღე; ვ) დაფინანსების მაქსიმალური ოდენობის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება თითოეულ პროექტზე ინდივიდუალურად, პროექტის სპეციფიკიდან და მასშტაბურობიდან გამომდინარე. ქვეპროგრამიდან აგრეთვე დაფინანსდება კულტურული ფესტივალები, გასტროლები და ა.შ.

დასახელება	პროდუქტი		
	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი (ლარი)	სულ (ლარი)
„შემოქმედებითი ოზურგეთი“	5	10 000	50 000
ფესტივალები/შემოქმედებითი აქტივობები	2	25 000	50 000
ჯამი			100 000

მოსალოდნელი შუალედური შედეგი

ხელშეწყობილია ახალგაზრდების ჩართულობა თვითმმართველობის განხორციელებაში, ხელშეწყობილია შემოქმედებითი ჯგუფების აქტივობები

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	ახალგაზრდული პროგრამები
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	050302

ქვეპროგრამის დასახელება:	ახალგაზრდობის ინტელექტუალურ-კულტურული განვითარების მხარდაჭერა;		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური		
ქვეპროგრამის დაფინანსების წყარო	2024 წელი		
მუნიციპალური ბიუჯეტი	17 500		
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი	17 500		
ქვეპროგრამის მიზანი			
ახალგაზრდების ინტელექტუალურ-კულტურული პოტენციალის განვითარების ხელშეწყობა, ასევე ახალგაზრდების ჩართულობა ქვეყნის განვითარების პროცესში და მათი ლიდერული უნარ-ჩვევების აქტუალიზების მხარდაჭერა. ახალგაზრდობის ცნობიერების ამაღლება და სამოქალაქო პასუხისმგებლობის ზრდის ხელშეწყობა.			
ქვეპროგრამის აღწერა			
ადგილობრივი თვითმმართველობის მუშაობის პროცესში ახალგაზრდების ჩართულობის უზრუნველყოფა და მათი წინადადებების მხარდაჭერა; განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდების გამოვლენა და წახალისება(არაუმეტეს 500 ლარის ოდენობით) - სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ ახალგაზრდების მიერ წარმოდგენილი იდეების /ინიციატივების მხარდაჭერა; ლიდერული უნარ-ჩვევების აქტუალიზების, არაფორმალური განათლების პოპულარიზაციისა და მოდერნიზაციის მხარდაჭერის მიზნით ახალგაზრდების წახალისება (არაუმეტეს 500 ლარისა); ახალგაზრდული ფორუმების, ფესტივალების, ვორკშოპების, ტრენინგების ჩატარება ახალგაზრდული სექტორის და სხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით; ახალგაზრდების ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება (ა) ცხოვრების ჯანსაღი წესის, ბ).ბუღალტრული, ოჯახური ძალადობის, გ).პროფესიული განათლების მიღების დ). კარიერის განვითარების სერვისის დაწესებულების და დასაქმების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან ურთიერთთანამშრომლობით და საინფორმაციო და საგანმანათლებლო პროგრამების მეშვეობით) და სხვა. ახალგაზრდობის კულტურულ-შემოქმედებითი და მოხალისეობრივი საქმიანობის მხარდაჭერა, მათ შორის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დასუფთავებისა და მოვლა-პატრონობის უზრუნველყოფა, ლაშქრობებისა და ექსკურსიების ორგანიზება.			
დასახელება	პროდუქტი		
	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი (ლარი)	სულ (ლარი)
ადგილობრივი თვითმმართველობის მუშაობის პროცესში ახალგაზრდების ჩართულობა და მათი წინადადებების მხარდაჭერა	3	500	5 000
ახალგაზრდების მიერ	12	500	6 000

წარმოდგენილი იდეების/ინიციატივების პროექტების მხარდაჭერა;			
ახალგაზრდული ფესტივალების, ტრენინგების, ფორუმების, ვორკშოპების ორგანიზება'	2	7500	6500
ჯამი			17 500

მოსალოდნელი შუალედური შედეგი ხელშეწყობილია ახალგაზრდების ინტელექტუალურ-კულტურული განვითარება. გაზრდილია ახალგაზრდების ჩართულობა ქვეყნის განვითარების პროცესში და მათი ლიდერული უნარ-ჩვევების აქტუალიზება მხარდაჭერილია; მხარდაჭერილია ახალგაზრდობის ცნობიერების ამაღლების კამპანიები და მათი მოხალისეობრივი საქმიანობა;
--

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	0504
პროგრამის დასახელება:	რელიგიური ორგანიზაციების მხარდაჭერა
პროგრამის განმახორციელებელი:	'განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური
პროგრამის განხორციელების პერიოდი:	2024-2027 წწ.
სულ პროგრამის ბიუჯეტი:	100 000 ლარი
პროგრამის მიზანი	
მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული რელიგიური დაწესებულებების ფინანსური მხარდაჭერა. კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობა.	
პროგრამის აღწერა	
კულტურული მემკვიდრეობის დაცვის და შენარჩუნების მიზნით პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე ზოგიერთ ტაძრისა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელდება მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე XI-XVII -საუკუნეებში აგებული რამდენიმე ტაძარია (აჭის, ლიხაურის, ჯუმათის, შემოქმედის, კონჭკათის), რომელთაც გააჩნიათ უმნიშვნელოვანესი კულტურული-რელიგიური მნიშვნელობა და ისტორია. ეს ტაძრები ქართული ხუროთმოძღვრების ნიმუშებია. დროდადრო ტაძრები საჭიროებენ რესტავრაციას და რეაბილიტაციას.	
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	

მუხლი 17. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა
(პროგრამული კოდი 06 00)

პრიორიტეტის ბიუჯეტი: 2 884 000 ლარი

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს. თვითმმართველობა არსებული რესურსებისა და კომპეტენციის ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, ადგილობრივ დონეზე, სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

2024 წლის განმავლობაში მოსახლეობის სოციალური დაცვის მიმართულებით გაგრძელდება ისეთი პროგრამების დაფინანსება რომელიც გაზრდის სოციალურად დაუცველი ფენის ხელმისაწვდომობას სხვადასხვა ჯანდაცვისა და მომსახურების სერვისებზე.

06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2,884.0
06 01	ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა	1,335.1
06 01 01	ა(ა)ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი	315.6
06 01 02	მოქალაქეთა სამედიცინო დახმარება (060102)	350.0
06 01 03	თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა დახმარება (060103)	70.0
06 01 04	ლეიკემიით და ონკოლოგიური დაავადების მქონე პირების დახმარება (060104)	282.5
06 01 05	გადაუდებელი და არაპროგრამული რეფერალური სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება (060105)	240.0
06 01 06	ძვირადღირებული კვლევის (კომპიუტერული ტომოგრაფიის) ერთჯერადი დაფინანსება (060106)	77.0
06 02	სოციალური მხარდაჭერის პროგრამა	1548,9
06 02 01	სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება (060201)	16.0
06 02 02	დღის ცენტრის დაფინანსება (060202)	51.0
06 02 03	დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ერთჯერადი დახმარება (060203)	20.0
06 02 04	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება (060204)	322.0

06 02 05	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარება (060205)	12,5
06 02 06	სარიტუალო დახმარება (060206)	49.0
06 02 07	ოფიციალური დადგენილი დღეების აღსანიშნავად სოციალური მხარდაჭერა (060207)	70.0
06 02 08	მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარება (060208)	500.0
06 02 09	მზრუნველობამოკლებულთა ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა (060209)	250.0
06 02 10	სოციალური სერვისების მიმწოდებელი ორგანიზაციების თანადაფინანსება (060210)	29.0
06 02 11	სოციალურად შეჭირვებული ოჯახებში ახალშობილის (0-დან 1 წლამდე) მოვლისთვის საჭირო საგნებისა და საკვების შეძენისათვის ყოველთვიური დახმარება (060211)	40.0
06 02 12	გენდერულ საკითხთა, ძალადობის მსხვერპლის ან დაზარალებულის სტატუსის მქონე პირთა ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერა, 18-წლამდე ასაკის ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა	169.4
06 02 13	სოციალური მიზნის მქონე პროექტების თანადაფინანსება	20.0

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	0601
პროგრამის დასახელება:	ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა
პროგრამის განმახორციელებელი:	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახური
პროგრამის განხორციელების პერიოდი:	2024-2027 წწ.
სულ პროგრამის ბიუჯეტი:	1 335 100 ლარი
პროგრამის მიზანი	

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა
პროგრამის აღწერა
პროგრამის ფარგლებში არსებული 6 ქვეპროგრამით მოხდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სხვადასხვა სოციალური ჯგუფის წარმომადგენელი მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი
გაზრდილია ხელმისაწვდომობა სამედიცინო სერვისებზე

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:		060101
ქვეპროგრამის დასახელება:	ა(ა)ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ა(ა)ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი	
ქვეპროგრამის დაფინანსების წყარო		2024 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი		315 600
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი		315 600
ქვეპროგრამის მიზანი		
მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა და სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის კონტროლი		
ქვეპროგრამის აღწერა		
მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება არსებული რეალობებისადმი მიდგომების ახლებურად გააზრებას და რადიკალურ გარდაქმნებს ითხოვს. საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა გადაჭრა მოსახლეობის მომსახურების მრავალფეროვნებაში, არსებულ პირობებთან ადაპტირებაში, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილებაში მდგომარეობს. თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის: ა) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება; გ) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დაცვის კონტროლი; ე) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის; ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას; ზ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა; თ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების		

განხორციელება.

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სტრატეგიულ ფუნქციები: გადამდებ/არაგადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება; ჯანმრთელობის რისკ-ფაქტორების მონიტორინგი და მყისიერი რეაგირება საგანგებო სიტუაციების დროს, კოორდინაცია ცენტრალურ სტრუქტურებთან; ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობა. საკვებისა და სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტებისა და სხვა ნორმატიული დოკუმენტების მომზადებაში მონაწილეობა და მუნიციპალური მმართველობის ორგანოების ინფორმირება სავარაუდო საკვებისმიერი და წყლისმიერი ინფექციების გავრცელების მხრივ არსებული მდგომარეობის შესახებ; ჯანმრთელობის განმტკიცება ჯანმრთელობის დაცვაში უთანასწორობისა და სოციალურ დეტერმინანტებზე ზემოქმედების განხორციელების გზით; დაავადებათა ადრეული გამოვლენა და პროფილაქტიკა; მოსახლეობის, თემის წარმომადგენლების, ცალკეული მოწყვლადი ჯგუფების ორგანიზება და წარმართვა ჯანმრთელობასა და კეთილდღეობასთან დაკავშირებულ საკითხებში. ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება, მოტივირება და შენარჩუნება; საზოგადოებრივი ჯანდაცვის ორგანიზაციულ-სტრუქტურული სრულყოფა, ადეკვატური დაფინანსების მიღწევა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სერვისებსა და პროდუქტებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; ჯანმრთელობის ადვოკატირება, მოსახლეობასთან კომუნიკაციის გაუმჯობესება, საინფორმაციო განმარტებითი საქმიანობა, სოციალური მობილიზაცია; მტკიცებულებებზე დაფუძნებული ჯანდაცვის პოლიტიკისა და პრაქტიკის წარმოებისათვის კვლევითი სამუშაოების წარმოება და მონაწილეობის მიღება.

დასახელება	პროდუქტი		
	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი (ლარი)	სულ (ლარი)
ა(ა)ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი	1	315 600	315 600
ჯამი			315 600

მოსალოდნელი შუალედური შედეგი

შედეგი 1: უზრუნველყოფილია გადამდებ დაავადებათა პრევენციისა და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედების თაობაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;

შედეგი 2: უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტში სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის კონტროლი;

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	060102
ქვეპროგრამის დასახელება:	მოქალაქეთა სამედიცინო დახმარება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახური
ქვეპროგრამის დაფინანსების წყარო	2024 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	350 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი	350 000
ქვეპროგრამის მიზანი	
სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტების ხარჯების ანაზღაურებაში დახმარება	
ქვეპროგრამის აღწერა	
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული მოქალაქეების მედიკამენტების ხარჯების ანაზღაურებაში დახმარება, კერძოდ: ა) მოქალაქეებს, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზაში“ სარეიტინგო ქულით 0-დან 150001-მდე, მედიკამენტების შესაძენად, გაეწევათ ერთჯერადი ფინანსური დახმარება ფარმაცევტულ დაწესებულებაში თანხის ჩარიცხვით, არაუმეტეს 100 ლარის ოდენობით; ბ) ვეტერან ქალბატონებს (ომის მონაწილე), მედიკამენტების შესაძენად, გაეწევათ ერთჯერადი ფინანსური დახმარება ფარმაცევტულ დაწესებულებაში თანხის ჩარიცხვით, არაუმეტეს 100 ლარის ოდენობით. 2). ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეებს, რომელთა ოჯახების სოციალური სარეიტინგო ქულა 0-დან 150 001-მდეა, სამედიცინო მომსახურების ხარჯების თანადაფინანსება, კერძოდ: ა) ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ პირებს და შშმ ბავშვებს (18 წლამდეა) თუ ასანაზღაურებელი თანხა არ აღემატება 150 ლარს დაფინანსება მოხდება სრულად. ბ) იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარის მიერ ასანაზღაურებელი თანხა აღემატება 150 ლარს, მაშინ დაფინანსება მოხდება საყოველთაო ჯანდაცვის (სადაზღვევო კომპანია) თანაგადახდის ფარგლებში არსებული ტარიფით განსაზღვრული სახელმწიფოს (სადაზღვევო კომპანიის) მიერ ასანაზღაურებელი თანხის 50%-ის, მაგრამ არაუმეტეს 500 ლარისა. დაფინანსების ქვედა ზღვარია 150 ლარი; გ) იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს თანაგადახდა (საყოველთაო ჯანდაცვა, კერძო კომპანია), ანუ თუ მკურნალობის ხარჯები მთლიანად პაციენტის დასაფარია, ასეთ შემთხვევაში დაფინანსება მოხდება წარმოდგენილი თანხის ნახევრის, მაგრამ არაუმეტეს 500 ლარისა, დაფინანსების ქვედა ზღვარია 150 ლარი.	
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	
ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობისთვის უზრუნველყოფილია სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტების ხარჯების თანადაფინანსება	

პროგრამის დასახელება, რის
ფარგლებშიც ხორციელდება
ქვეპროგრამა:

ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:		060103	
ქვეპროგრამის დასახელება:	თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა დახმარება		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახური		
ქვეპროგრამის დაფინანსების წყარო	2024 წელი		
მუნიციპალური ბიუჯეტი	70 000		
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი	70 000		
ქვეპროგრამის მიზანი			
ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა მხარდაჭერა			
ქვეპროგრამის აღწერა			
ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირებს, რომლებიც ჩართული არიან დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში და ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში საჭიროებენ დიალიზის კურსის ჩატარებას, უფლება აქვთ ისარგებლონ კვარტალში ერთხელ ფულადი დახმარებით 300 ლარის ოდენობით, ხოლო სოფლად მცხოვრები ბენეფიციარებისათვის 350 ლარის ოდენობით ტრანსპორტირებისათვის. ხოლო პერიტონიალურ შემთხვევაში ტრანსპორტირებისათვის ყოველთვიურად 150 ლარის ოდენობით. დიალიზის პროგრამა ხორციელდება ქ. ოზურგეთში, ხოლო პერიტონიალურ შემთხვევაში ადგილზე არ ხდება ბენეფიციარის მომსახურება და უწევთ სხვა ქალაქში ტრანსპორტირება.			
დასახელება	პროდუქტი		
	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი (ლარი)	სულ (ლარი)
თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა დახმარება	50	1 400	70 000
ჯამი			70 000
მოსალოდნელი შუალედური შედეგი			
ხელშეწყობილია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა სამედიცინო მომსახურების მიღება			

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	060104
ქვეპროგრამის დასახელება:	ონკოლოგიური დაავადების მქონე პირების დახმარება
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახური
ქვეპროგრამის დაფინანსების წყარო	2024 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	282 500
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი	282 500
ქვეპროგრამის მიზანი	
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ონკოლოგიური დაავადების მქონე პირებისათვის დამატებით სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობა	
ქვეპროგრამის აღწერა	
